სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო
დადგენილება №01-05-04/138

ქ. თბილისი 29 ივლისი 2025 წ.

სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ადმინისტრაციის სტრუქტურული რეორგანიზაციის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის –საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის, მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის, სტუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის (კანცლერის) კარლო კოპალიანის 2025 წლის 28 ივლისის სამსახურებრივი ბარათისა (MES 5 25 0000920813) და აკადემიური საბჭოს 2025 წლის 29 ივლისის №01-05-02/20 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. მოწონებული იქნეს წინადადება - უნივერსიტეტის ადმინისტრაციის სტრუქტურული ერთეულების - ადამიანური კაპიტალის მართვის და საქმისწარმოების დეპარტამენტების გაერთიანებისა და მათ ბაზაზე სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ადამიანური რესურსების მართვისა და საქმისწარმოების სამსახურის შექმნის თაობაზე.
2. მოწონებული იქნეს სამსახურის დებულება და სამსახურის შექმნასთან დაკავშირებით წარმოდგენილი ცვლილებები უნივერსიტეტის სტრუქტურასა და საშტატო ნუსხაში (დანართები).
3. დადგენილებით გათვალისწინებული საკითხები დასამტკიცებლად გადაეცეს უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოს (სენატს).
4. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64).

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე **დ. გურგენიძე**

აკადემიური საბჭოს მდივანი **ი. კუტუბიძე**